



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

**NEW VISION
UNIVERSITY**

**EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE**
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის იმიტირებული პროცესები წესები 2021

სარჩევი

1. იმიტირებული პროცესების ორგანიზება.....	2
2. იმიტირებული პროცესების ენა	2
3. გუნდები	2
4. მონაწილეობის წესები	3
5. იმიტირებული პროცესების ვადები	3
6. ანონიმურობა.....	3
7. მსაჯები.....	4
8. განმარტება.....	4
9. მსაჯების შეფასება.....	4
10. იმიტირებული პროცესი	5
11. პროცესის ხანგრძლივობა.....	5
12. სესიის მიმდინარეობა.....	5
13. მასალები	6
14. ქულების განაწილება.....	6
15. შედეგების დაჯამება.....	6
16. გუნდების შერჩევა ფინალური ტურისთვის	6
17. სანქცირება/დისკვალიფიკაცია	6

1. იმიტირებული პროცესების ორგანიზება

1.1 გუნდების შერჩევა ხდება ღია კონკურსის საფუძველზე. კონკურსში მონაწილეთაგან შერჩევა ათი გუნდი. შერჩევის პროცესში უპირატესობა ენიჭება პირველად რეგისტრირებულ ათ გუნდს, როგორც თბილისიდან, ასევე, რეგიონებიდან.

1.2 შერჩეული გუნდები საკუთარ პოზიციას წარმოადგენენ ეთიკის კომისიის იმიტირებულ პროცესზე. ზეპირი მოსმენა ორ ეტაპად ჩატარდება. პირველი პროცესების შემდეგ ფინალისთვის შერჩევა ოთხი გუნდი. ფინალში გადასული გუნდების სპეციალური ნომინაციებისა და ჯილდოების შესახებ ცნობილი გახდება უშუალოდ დაჯილდოების ცერემონიის მიმდინარეობისას, ფინალური რაუნდის დასრულების შემდეგ.

1.3 იმიტირებულ პროცესზე მსაჯები იქნებიან ადვოკატთა პროფესიული ეთიკის სფეროში გამოცდილი ექსპერტები და პრაქტიკოსი იურისტები.

1.4 იმიტირებულ პროცესებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის მე-3 და მე-4 კურსის, ასევე, მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებს, რომლებიც არ არიან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრები.

2. იმიტირებული პროცესების ენა

იმიტირებული პროცესები ტარდება ქართულ ენაზე. მონაწილე გუნდებს შეუძლიათ უცხოენოვანი მრჩევლის/მწვრთნელის აყვანა.

3. გუნდები

3.1 ერთი და იმავე უნივერსიტეტის სტუდენტები ქმნიან სამ-ოთხკაციან გუნდებს. გუნდს შეიძლება ჰყავდეს მრჩეველი, რომელსაც მიუთითებს სარეგისტრაციო ფორმაში. გუნდი უნდა დარეგისტრირდეს ორგანიზატორების მიერ დადგენილი წესით, დადგენილ ვადაში, დადგენილი ფორმების გამოყენებით, რომელიც გამოქვეყნდება ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ასევე იურიდიული ეთიკის მიმართულების ვებგვერდზე და ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ფეისბუქ გვერდზე.

3.2 იმიტირებული პროცესების მიმდინარეობისას გუნდის წევრის გასვლა ან ჩანაცვლება დასაშვებია. თუ გუნდში წევრთა რაოდენობა 3-ზე ნაკლებია, გუნდი ეთიშება იმიტირებულ პროცესებს.

4. მონაწილეობის წესები

4.1 გარე პირების ჩართვა ან პროცესების მიმდინარეობისას მათთან ნებისმიერი კომუნიკაცია, რაც რომელიმე მხარეს არათანაბარ პირობებში ჩააყენებს და ხელს შეუშლის პროცესის ჩატარებას, დაუშვებელია.

4.2. პროცესის მსვლელობის დროს გუნდის წევრებსა და გუნდის მწვრთნელს შორის ნებისმიერი სახის კომუნიკაცია დაუშვებელია და შესაძლებელია გამოიწვიოს გუნდის დისკვალიფიკაცია.

5. იმიტირებული პროცესების ვადები

იმიტირებულ პროცესებში მონაწილეობისათვის რეგისტრაციის ვადები და პირობები ქვეყნდება ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ასევე იურიდიული ეთიკის მიმართულების ვებგვერდზე და ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ფეისბუქ გვერდზე:

ა) მონაწილეთა რეგისტრაცია იწყება 2021 წლის 18 ოქტომბერს და სრულდება 2021 წლის 1-ელ ნოემბერს.

ბ) რეგისტრირებული გუნდები პროცესებში მონაწილედ შერჩევის შესახებ ინფორმაციასა და მასალას მიიღებენ არაუგვიანეს 2021 წლის 5 ნოემბრისა.

გ) მონაწილეობისათვის მოსამზადებელი ტრენინგი ჩატარდება არაუგვიანეს 2021 წლის 20 ნოემბრისა.

დ) იმიტირებული პროცესების პირველი ტური ჩატარდება 2021 წლის 27 ნოემბერს.

ე) ფინალურ ეტაპზე გადასული გუნდების შესახებ ცნობილი გახდება 2021 წლის 27 ნოემბერს (დღის მეორე ნახევარში).

ვ) ფინალური ეტაპი ჩატარდება 2021 წლის 28 ნოემბერს.

ზემოაღნიშნული თარიღების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, რის შესახებაც წინასწარ ეცნობებათ მონაწილეებს.

6. ანონიმურობა

6.1 მონაწილეთა შესახებ ინფორმაცია დაცულია. რეგისტრაციისას გუნდი მიიღებს ნომერს, რომელიც მას ეცნობება რეგისტრაციისთანავე.

6.2 იმიტირებული პროცესების მიმდინარეობისას არ ხდება იმ უნივერსიტეტის სახელწოდების გამჟღავნება, რომელსაც წარმოადგენს გუნდი. იმიტირებულ პროცესზე გუნდების შეფასებისას, შემფასებელს მხოლოდ გუნდის ნომერი ეცნობება.

7. მსაჯები

7.1 იმიტირებულ პროცესზე მონაწილე გუნდებს აფასებენ მსაჯები. მსაჯების შერჩევა ხდება პრაქტიკოსი იურისტებისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ექსპერტების შემადგენლობიდან.

7.2 დაუშვებელია შესაბამის პროცესზე დანიშნული მსაჯი და მონაწილე გუნდის წევრი ან მწვრთნელი იყოს ერთი და იმავე უნივერსიტეტის წარმომადგენელი.

7.3 იმიტირებული პროცესების მსაჯები დამოუკიდებლად იღებენ გადაწყვეტილებას. შეფასების ქულები იწერება სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ შეფასების ფორმაში, რომელსაც აჯამებს ორგანიზატორი.

7.4 იმიტირებული პროცესის თავმჯდომარეს, პროცესის დაწყებამდე, ირჩევენ მსაჯები. თავმჯდომარე უძღვება იმიტირებულ პროცესს. თავმჯდომარეს უფლება აქვს, ჩამოაშოროს გუნდი ან მისი წევრი თამაშს.

8. განმარტება

მოცემულ წესებთან დაკავშირებით ნებისმიერი კითხვა გაუგზავნეთ ორგანიზატორებს იურიდიული ეთიკის მიმართულების ვებგვერდზე მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე (legalethicschair@newvision.ge).

9. მსაჯების შეფასება

9.1 შეფასების ერთანობის უზრუნველსაყოფად შემუშავებულია შეფასების ფორმა შესაბამისი კრიტერიუმებით, რომელიც წინასწარ მიეწოდებათ მსაჯებს. მსაჯები გუნდის შეფასებისას ეყრდნობიან შეფასების ფორმით გაწერილ კრიტერიუმებს.

9.2 პროცესის შემდეგ გუნდები, მწვრთნელები, დამკვირვებლები, ზედამხედველი პირები თუ ორგანიზატორები ტოვებენ ოთახს და მსაჯები აფასებენ თითოეული გუნდის მონაწილეობას ინსტრუქციების შესაბამისად. შეფასებისათვის მსაჯებს განესაზღვრებათ 15 წუთი. შეფასების დასრულების შემდეგ პროცესის ზედამხედველს (საორგანიზაციო კომიტეტს) გადაეცემა მსაჯების შეფასებები. ამის შემდეგ, მონაწილეები ბრუნდებიან პროცესის ოთახში.

9.3 თითოეული მსაჯი მაქსიმუმ 10 წუთის განმავლობაში გასცემს უკუკავშირს და აფასებს ორივე გუნდის მონაწილეობას პროცესში. მსაჯების შეფასება უნდა შეესაბამებოდეს შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც იმიტირებული პროცესების დაწყებამდე გადაეცემათ მსაჯებს.

10. იმიტირებული პროცესი

10.1. იმიტირებული პროცესები გაგრძელდება ორი დღის განმავლობაში. პირველ დღეს (შაბათი) ჩატარდება 5 იმიტირებული პროცესი 10 გუნდის მონაწილეობით, საიდანაც შეირჩევა ფინალში გადასული 4 საუკეთესო გუნდი.

10.2. ფინალური ტური გაიმართება მეორე დღეს (კვირა) 4 გუნდის მონაწილეობით და ჩატარდება 2 იმიტირებული პროცესი.

11. პროცესის ხანგრძლივობა

თითოეული იმიტირებული პროცესი გაგრძელდება 90 წუთი. აქედან 70 წუთი დაეთმობა უშუალოდ პროცესს, ხოლო დანარჩენი 20 წუთი მსაჯების მიერ გუნდების შეფასებას.

12. სესიის მიმდინარეობა

12.1 ზეპირი განხილვა ტარდება შემდეგი წესის მიხედვით: განმხილველი კომისიის თავმჯდომარე შესაძლებლობას აძლევს მხარეებს, წარმოადგინონ ძირითადი არგუმენტები. ჯერ წარმოადგენს საჩივრის ავტორი და შემდეგ მოპასუხე. ამას მოჰყვება მხარეთა კითხვა-პასუხები, ჯერ საჩივრის ავტორის და შემდეგ მოპასუხის, რის შემდეგაც, გუნდი რეპლიკის სახით აჯამებს პოზიციას.

12.2 მსაჯებს შეუძლიათ, შეაწყვეტინონ მხარეს გამოსვლა და დაუსვან კითხვები.

12.3 მხარე შეზღუდულია კაზუსის ფარგლებით. ფაქტების დამატება ან არსებითად შეცვლა დაუშვებელია და შესაძლებელია, გამოიწვიოს გუნდის დისკვალიფიკაცია.

12.4 საჩივრის ავტორის პასუხი უნდა შეეხებოდეს მხოლოდ იმ არგუმენტებს, რაც მოპასუხემ წარმოადგინა და არც მოპასუხე უნდა გასცდეს მხარის მიერ წარმოდგენილ პოზიციას.

12.5 მხარეებს არგუმენტის წარმოსადგენად გამოყოფილი აქვთ ჯამში 20 წუთი.

12.6 კითხვა-პასუხებისთვის მხარეებს გამოყოფილი აქვთ 10 წუთი.

12.7 რეპლიკისთვის მხარეებს აქვთ 5-5 წუთი.

12.8 დროის გასვლას ყურადღებას აქცევს ერთ-ერთი მსაჯი და უთითებს მხარეებს აღნიშნულის თაობაზე.

12.9 თავმჯდომარეს შეუძლია მხარეს მეტი დრო გამოუყოს, მაგრამ არა უმეტეს 5 წუთისა. თუ მხარე სრულად არ იყენებს მისთვის გამოყოფილ დროს, დაუხარჯავი დრო არ დაემატება შემდგომი გამოსვლისას.

12.10 თუ მსაჯი მხარეს გამოსვლას აწყვეტინებს, დროის ათვლა წყდება.

13. მასალები

13.1 გამომსვლელს შეუძლია ჩანაწერების გამოყენება, მაგრამ რეკომენდებულია მხარემ ზეპირად წარმოადგინოს მოხსენება.

13.2 საჩვენებელი მასალის მოშველიება ან ელექტრონული მოწყობილობების დახმარებით პრეზენტაციის წარმოდგენა არ არის დაშვებული.

14. ქულების განაწილება

გამოსვლა ფასდება მაქსიმუმ 40 ქულით:

ა) ნორმატიული მასალის სწორად მოხმარება, ეთიკის კომისიის პრაქტიკის და საერთაშორისო გამოცდილების წარმოდგენა - მაქსიმუმ 10 ქულა;

ბ) პრეზენტაცია, დამაჯერებლობა - მაქსიმუმ 10 ქულა;

გ) მხარეთა უნარი, გააბათილონ მოწინააღმდეგის არგუმენტები - მაქსიმუმ 10 ქულა;

დ) გუნდური მუშაობა - მაქსიმუმ 10 ქულა.

15. შედეგების დაჯამება

თუ გუნდები თანაბარ ქულებს აგროვებენ, უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც მეტი ქულა აქვს აღებული ნორმატიული მასალის სწორად მოხმარების, ეთიკის კომისიის პრაქტიკის და საერთაშორისო გამოცდილების წარმოდგენის კომპონენტში.

16. გუნდების შერჩევა ფინალური ტურისთვის

16.1 მონაწილე გუნდები იმიტირებული პროცესების პირველი ეტაპის შემდეგ დაჯგუფდებიან ქულების მიხედვით. პირველ ეტაპზე ყველაზე მაღალი ქულის მქონე 4 გუნდი გადავა ფინალურ ეტაპზე.

16.2 ფინალურ ეტაპზე გუნდების და იმიტირებულ პროცესზე მათ პოზიციების განაწილება მოხდება ორგანიზატორების მიერ ჩატარებული ფარული კენჭისყრით.

17. სანქცირება/დისკვალიფიკაცია

17.1 სანქცირება გულისხმობს ქულების დაკლებას, დისკვალიფიკაცია კი - იმიტირებული პროცესებიდან გუნდის მოხსნას.

17.2 პროცესის მსვლელობის დროს გუნდის წევრებსა და გუნდის მწვრთნელს შორის ნებისმიერი სახის კომუნიკაცია დაუშვებელია და შესაძლებელია გამოიწვიოს გუნდის სანქცირება ან დისკვალიფიკაცია.

17.3 მხარე შეზღუდულია კაზუსის ფარგლებით. ფაქტების დამატება ან არსებითად შეცვლა დაუშვებელია და შესაძლებელია, გამოიწვიოს გუნდის სანქცირება ან დისკვალიფიკაცია.

17.4 ამ წესების დარღვევა გამოიწვევს გუნდის სანქცირებას ან დისკვალიფიკაციას დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე.